№ 102 27 მაისი, შაბათი 1866—1878 27 მაისი, შაბათი № 102

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგეევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგეევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: წვრილ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## „დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგეევის ქუჩაზე, ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი მაისიდამ პირველ ივლისამდის გაზეთი ღირს—2 მან., წლის დამლევამდის—6 მანეთი.

ხელდრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 23 მაისს. ლორდ ბიკონსფილდი 26 მაისს მიდის კონგრესზე ბერლინში, მარკიზ სალისბიური კი — 29-ს.

კონგრესზე აღარ იქნება სჯა იმის თაობაზედ, რომ ინგლისის ფლოტი და რუსეთის ჯარი ერთ-და-იმავე დროს მოშორდნენ სტამბოლს.

ვენა, 21 მაისს. ანდრაშიმ გამოაცხადა ვენგრიის დელეგაციის სხდომაზედ, რომ იმას მოუვიდა ნამდვილი ცნობა, რომ კონგრესსი 11 ივნისს (30 მაისს) შეიკრიბება. ამავე სხდომაში ანდრაშიმ სთქვა კიდევ, რომ გაზეთს „Globe“-ში გამოცხადებული პირობები ინგლისსა და რუსეთს შუა დათანხმების ნამდვილი პირობები არ არისო.

ბერლინი, 21 მაისს. დღეს სპარსეთის შაჰი პარიჟში წავიდა.

ლონდონი, 24 მაისს. რადგან ოსმალები ცდილობენ, რომ ომი ასტეხონ, ამის გამო რუსეთმა და ინგლისმა გადაწყვიტეს, რომ, სანამ კონგრესი არ შეიკრიბება, მანამ თავის ჯარები არ მოაშორონ სტამბოლს.

ბერლინი, 24 მაისს. გერმანიის ტახტის მემკვიდრეს მინდობილი აქვს სახელმწიფო საქმეების გამგეობა. თვითონ იმპერატორი თან-და-თან უკეთ ხდება; ტკივილები აღარა აქვს.

პეტერბურღი, 25 მაისს. შუვალოვი და [illegible] მოვიდნენ პეტერბურღში.

ლონდონი, 25 მაისს. სალისბიურიმ სთქვა ლორდების პალატაში: სომხების თაობაზედაც უნდა იქნეს კონგრესზე მოლაპარაკება; ევროპის სახელმწიფოებს სურსთ, რომ სამართლიანად შეჰხედონ იმათ საქმეს. ეს სურს ინგლისს.

ბერლინი, 25 მაისს. გერმანიის იმპერატორის ჯანმთელობა ერთსა-და-იმავე მდგომარეობაშია.

პეტერბურღის ბირჟა, 24 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

| | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ლონდონი— | 24 | 75 | „ | „ |
| ამსტერდამი— | 125— | 25 | „ | „ |
| ჰამბურგი— — | 210 | 25 | „ | „ |
| პარიჟი — — | 259— | 75 | „ | „ |

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 227— „ |
| მეორე სესხის — — — | 231—50 |

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 97—87 |
| მეორესი — — — — | 95—62 |
| მესამე — — — — | 95—62 |
| მეოთხესი — — — — | 95—62 |
| ამიერ-კავკასიის?? | |

## საქართველო

### „თფილისის მოამბის“ გამართლება

ამას წინათ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ „თფილისის მოამბის“ რედაქტორი უფ. პ. ბებუთოვი წავიდა პეტერბურღში, სადაც სენატს უნდა განეხილა ამ გაზეთზე ატეხილი სამი საჩივარი: თფილისის ქალაქის საავათმყოფოსი, მასწავლებლის სტადლერისა და გამომძიებლის მჯუბოვისა.

ყველა ესენი, როგორც მოგეხსენებათ, უჩიოდნენ „თფილისის მოამბეს“ ცილის-წამებაზე და გაუპატიურებაზე.

თფილისის სამოსამართლო პალატამ ორს უკანასკნელს საქმეში გაამართლა რედაქტორი „თფილისის მოამბისა“ უფ. ბებუთოვი; პირველი (ქალაქის საავათმყოფოს) საქმის თაობაზედ კი აღმოჩნდა, რომ ზ ო ი ე რ თ ი ფაქტები წერილებით და საბუთებით ვერ დაამტკიცა უფ. ბებუთოვმა და ამის გამო ცილისწამებისათვის სამოსამართლო პალატამ 100 მან. ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა იმას.

სამოსამართლო პალატის პროკურორმა უკმაყოფილობა განაცხადა ამგვარს განჩინებაზე და ყველა ამ საქმეების თაობაზე პროტესტი შეიტანა აპელაციის წესით.

ამ ნაირად ეს საქმეები სენატმა განიხილა.

და გუშინწინ, 23 მაისს, როგორც პეტერბურღიდამ მიღებულმა დეპეშამ შეგვატყობინა, სენატს განუხილავს ხსენებული საჩივრები და ყველაფერში გაუმართლებია „თფილისის მოამბე“ და იმის რედაქტორი.

ყველაზე უფრო შესანიშნავი მხარე ამ საქმეში ის არის, რომ, თუმცა სამოსამართლო პალატაში უფ. ბებუთოვმა ვერ დაამტკიცა ყველაფერი, რაც კი იმის გაზეთში იყო დაბეჭდილი ქალაქის საავათმყოფოს უწესოებაზედ, თუმცა ყველა იქ მოყვანილ ფაქტებზე დაწერილი საბუთები არ წარუდგენია, მაგრამ სენატმა მაინც გაამართლაა ის.

ხ. მ.

## დღიური

*** სწორეთ გაგვიჭირა საქმე ამ გაუწყნარებელმა წვიმამ! მთელი ეს თვე თითქმის მუდამ დღე წვიმა და ნიაღვარია; მაგრამ არც ერთხელ არ ყოფილა ისეთი საშინელი ნიაღვარი, როგორიც იყო გუშინწინ, 24 მაისს, საღამოს 6½ საათზე. ნახევარი საათის განმავლობაში მთელი ქალაქის ქუჩები მოფენილი იყო წყლით, ბევრი სახლების სარდაფები და ქვემო ეტაჟები წყლითა და ტალახით აივსო; სოლოლაკისაკენ ფაეტონები და ურმები ველარ დადიოდნენ შიშით რომ ნიაღვარს არ მოეტაცნა და სხვ.

ამბობენ, რომ ამ ნიაღვარმა ბევრი საქონელი გააფუჭა სარდაფებში და რამდენიმე მიწის სახლი დააქციაო, სხვათა შორის ჩაიქცა „ლონდონი" სასტუმროს გვერდით უფ. ა. ზუბალოვის ადგილი. რამდენიმე ათი ათასი მანეთის ზიანს ამბობენ მარტო ქალაქში. სოფლებიდამ ჯერ ამბავი არ მოგვსვლია.

*** 23 მაისს იყო ჩვეულებრივი სხდომა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. რომელზედაც შემდეგ საგნებზე მოილაპარაკეს:

სეკრეტარმა მოახსენა საზოგადოებას, ლოჟინის სამეურნეო შკოლის დაკეტის შემდეგ 11 შაგირდი დარჩნენ სრულიად უპატრონოთაო და საზოგადოებამ რაიმე ღონის-ძიება უნდა მონახოს, რომ ამათ ცხოვრებისა და სწავლის გაგრძობის საშუალება მიეცესთო. საზოგადოების თავსმჯდომარემ თ. დ. დ. ჯორჯაძემ და სეკრეტარმა ე. ი. ხატისოვმა იკისრეს ამ ყმაწვილების ბედზე ზრუნვა.

შემდეგ კრებამ მოისმინა თ. ზ. ჯორჯაძისა და უ. ზენკოვიჩის აზრი იმის თაობაზედ, რომ აქციზის შემოღებამ დიდი ზიანი მისცა ჩვენი მხრის ხალხს და მეურნეობასაო.

ამავე სხდომაზე საზოგადოების თავსმჯდომარემ თ. დ. დ. ჯორჯაძემ სთხოვა საზოგადოებას, რომ, რადგან ჯანის სისუსტე და ავათმყოფობა ნებას არ მაძლევსო, რომ ჩემი მოვალეობა რიგიანად ავასრულო, ამის გამო განმათავისუფლეთ თავსმჯდომარის თანამდებობიდგანაო. საზოგადოებამ გადაწყვიტა სთხოვოს თ. ჯორჯაძეს, რომ არ მიატოვოს იმან ეს თანამდებობა.

*** ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ შემდეგი ანგარიში იმ სპექტაკლის შემოსავალ-გასავლისა, რომელიც 17 მაისს ქართული სცენის მოყვარეთა თბილისის საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს.

შემოსავალი იყო სულ—553 მან. და 73 კაპ. ამ ფულში სხვა-და-სხვა პირთ ალაგების ღირეულ ფასზედ მომეტებული შემოსწირეს—8 მან.

გასავალი: თეატრის ქირა—20 მან., ქართული ტანისამოსის ქირა-25 მან., ევროპიული ტანისამოსის ქირა—5 მან., პარიკმახერს—5 მან., ტივის გამმართავი—3 მან., მოსამსახურეთ—4 მან. 50 კაპ., კასირს—5 მან., რეკვიზიტი—1 მან., აფიშების დასაბეჭდი—12 მან. 50 კაპ., წვრილი ხარჯი—12 მან. 12 კაპ. სულ—170 მან. და 42 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა—283 მან. და 33 კაპ.

*** ჩვენ გვწერენ რაჭიდამ შემდეგ უცნაურ ამბავს:

სოფ. ჭიორაში არის თურმე ერთი მღვდელი, რომელიც სხვათა შორის სოფლის კანცელარიაში მწიგნობრის თანამდებობასაც ასრულებს. ერთი იქაური მცხოვრები გლეხი, რომელსაც ახალციხეში წასვლა ნდომებია, მისულა კანცელარიაში, მიუტანია მღვდლისთვის თავის ძველი ბილეთი და უთხოვნია, რომ მაგიერად ახალი მიეცა. მღვდელს ახალი ბილეთის დაწერა მეზარებია თუ არ ჰქონია, აუღია და ამ ძველ ბილეთზე გადაუფხეკია რიცხვი და ახალი ვადა ჩაუწერია.

უბედურ გლეხს წაუღია ეს ბილეთი და წასულა ახალციხეში. მაგრამ როცა იქაურ მთავრობას ბილეთი მოუთხოვია და ამასაც ეს ძველი, გადასწორებული ბილეთი წარუდგენია, უტაცნიათ ხელი, შეუკრავთ და მეთოკილი გამოუგზავნიათ რაჭაში. რამდენი წვალება და ტანჯვა გამოუვლია, ვინ იცის.

კორრესპონდენტი გვწერს, რომ ეს საწყალი გლეხი ახლაც დაჭერილი არისო ონში...

## ომის ამბები

### კონგრესსი

ბერლინში მისულა ნამდვილი ამბავი, რომ ამ მოკლე ხანში კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად მივლენ იქ: ინგლისის მხრით მარკიზ სოლისბიური, რუსეთის მხრით—გრაფ შუვალოვი და

# ფელეტონი

## ლონდონის მაწანწალები *)

(ნათარგმნი მოთხრობ.)

(გაგრძელება)

### მამჭრიახე სამართალი

ორშაბათ დილას ჩვენ მიგვიყვანეს წინაშე მის პატიოსნების მაგისტრატისა (მოსამართლისა), რომელმაც გადაგვიწყვიტა სამართალი მართლა საოცარი სისწრაფითა.

მე დავინახე ერთი პოლიციის აგენტი, რომელმაც აკოცა ერთ ჭუჭყიან წიგნს; იმან სთქვა რამოდენიმე სიტყვა, რომლებიც ვერ გავიგე და რომლების პასუხათ მაგისტრატმა უთხრა:

— ხუთი შილინგი ჯარიმა ანუ ხუთი დღე ძალ-დატანებით მუშაობა!

და შემაგდეს ახლო მყოფ პატარა ოთახში.

მე იქ ვიპოვე ჩემი ამხანაგი, რომელმაც უწინ მირჩია ჩემი პალტოს გაყიდვა; იმისთვისაც იმ ნაირივე სასჯელი გარდეწყვიტათ.

იმან მითხრა, რომ ჩემი სერთუკი ძალიან კარგი იყო და მე შემეძლო ის გამეცვალა სხვაში და ამასთანავე მექნებოდა 25 ფრანკიც მოგება. ამნაირად ჩემი სერთუკიც დაადგა იმავ გზას, როგორც პალტო; იმის მაგიერ მომიტანეს ერთი ძველი, გაცვეთილი სერთუკი და 12½ ფრანკი მასზე დამატებით.

ახლა შემეძლო ჯარიმა მიმეცა და თავიდგან ამეცილებინა ქვის მტვრევა.

ჩვენ დაგვიძახეს ორნივ ერთათ, რათა გარდგვეხადა ჩვენი ჯარიმა. გამოსვლის უწინარეს ჩემმა ამხანაგმა კიდევ გაიხსნა თავისი უებარი ყელსახვევი და გამოიღო თავის გარდასახდელი ჯარიმის ფული. ამას ამნაირი დანაშაულობა სხვა დროსაც მოექმედებინა და ამისთვის მსაჯულს მისი გარდასახადი ჯარიმა ერთი-ორათ გაეხადა.

ჩვენ ერთათ მოვშორდით სასამართლოს სამწუხარო სადგომსა.

მე მივყევ ჩემ ამხანაგს, რომელიც სიტყვის უთქმელათ დაადგა გზის დასაკარგავ, პატარა, ბნელ ქუჩებსა, რომლებიც ეტყობოდა იმან კარგათ იცოდა.

ბოლოს ჩვენ მივედით ერთი ბნელი სახლის წინ, რომელიც იდგა ვიწრო და ნამიან ეზოში. ჩემი ამხანაგი მიაწვა კარებს, შეაღო და შევედით მიკიტნის დუქანში, რომელიც განთქმული იყო მაწანწალებს და ქურდებს შორის.

ზალის ბოლოში იყო დაზგა, რომლის უკან იჯდნენ ერთი კაცი და ერთი ახალგაზდა ქალი. წინ ენთოთ დიდი ცეცხლი ქვა-ნახშირით ანთობილი. აქა-იქ ამ ზალაში იდგას უბრალო ხის სტოლები და საჯდომები.

ოც კაცამდინ იყვნენ იქ; სვამდნენ, სჭამდნენ და თამბაქოს სწევდნენ.

ერთი ქალი, რომელსაც ჰქონდა კაცური სიარული, მოვიდა, დაჰკრა მხარზედ ჩემს მომყვანს და ჩემის ჩვენებით ჰკითხა საიდგან წამოეყვანე.

ის ხელით მოიშორა და უთხრა, რომ მე ვიყავ მისი ამხანაგი.

ამნაირ ხმა მაღლივ თქმულმა გამოცხადებამ ამამაღლა ამ პატივცემულ საზოგადოების თვალის წინაშე. ორი ახალგაზდა ქალი ისხდა ერთ სტოლთან; ჩვენ ავყარეთ ისინი იქიდგან; იმათ სამაგიეროთ საშინელის სიტყვებითა და გინებით შეგვიკურთხეს; მაგრამ ჩვენ დავიკავეთ მათი ალაგი. ჩემმა ამხანაგმა მოითხოვა ორი ბოთლი ლუდი (პივო).

ერთი ლამაზი ახალგაზდა ქალი ძონძებში ჩაცმული მოვიდა ჩვენთან და გვკითხა—გვინდა თუ არა რამის ჭამა?

— მიეცით ამას ექვსი პენსი, მეგობარო, მითხრა ჩემმა ამხანაგმა, ლორის ხორცსა და პურს მოგვიტანს.

ქალმა აიღო ფული, ჰაერში აისროლა, გაღიმებული ხახა მიუშვირა, ჩაუვარდა ხახაში და გავიდა.

მალე დაბრუნდა და მოგვიტანა რაც დავაბარეთ. ლორის ხორცი შევწვით

*) „დროება", № 94.

საფრანგეთის—ვადინგტონი. ამ კონგრესისთვის ბერლინში ამზადებენ უცხო ქვეყნის საქმეთა სამინისტროს ზალას.

|

„Indép. Belge“-ში იწერებიან:

„უეჭველია, რომ გერმანიის მხრით კონგრესზე დაესწრება თ. ბისმარკი, რომელსაც კონგრესის თავმჯდომარედ ამოირჩევენ. ამბობენ, რომ რამდენიმე სხდომის შემდეგ, კონგრესი მოხსნის თავის სხდომებს ბერლინში და შემდეგ ბადენ ბადენში ანუ პრეიცნახში განაგრძობს საქმესაო“.

—

„ახალი დროების“ ლონდონელი კორრესპონდენტი იწერება:

„სხვათა შორის ინგლისი თხოულობს, რომ მცირე აზიაში რეფორმების შემოღების დროს ზედამხედველობა (კონტროლი) მარტო იმას ჰქონდეს. ამას გარდა ინგლისი ამბობს, რომ, სანამ კონგრესი არ გათავდება, მანამ რუსეთმა არ უნდა მოითხოვოს ოსმალეთისაგან შუმლის, ვარნისა და ბათუმის დათმობა.

—

გაზეთს „Presse“ დაბეჭდილია შემდეგი ბუხარესტიდამ მიღებული დეპეშა:

„აქ ნამდვილად ამბობენ, რუმინიის მმართებლობა ცდილობს ოსმალეთს დაუახლოვდესო, რადგან ჯერ დარწმუნებული არ არის, რომ ომი ხელ-ახლად აღარ ატყდებაო.“

# წესდება

**თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის.**

§ 1.

საზოგადოებას, ამა წესდების ძალით დადგენილს, საგნად აქვს: აღმოაჩინოს ნივთიერი შემწეობა არა შეძლებულთა შვილების სწავლისათვის; მოამზადოს იგინი შესასვლელად რომელსამე სასწავლებელში, და უფრო ნიჭიერსა მათგანსა მისცეს ღონის-ძიება სწავლის გაგრძელებისათვის. ამ შემწეობაში უპირატესობა მიეცემა მათს შვილებს, რომელნიც ამ საზოგადოებაში წევრად შემოსული იქმნებიან.

§ 2.

საზოგადოებას ღონის-ძიებად ექნება: ა) საწევრო ფული, რომელიც ყოველ წლიურ ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს; ბ) ფული, ნება-ყოფლობით ვისგანმე შემოწირული; გ) ფული, რომელიც, შეძლებისამებრ, ყოველ-წლივ შემოწირულ იქმნება ამ საზოგადოებისათვის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის მიერ და დ) ფული, შემოსული საზოგადოებისამიერ გამართულთ: საჯარო ლექციებისაგან, თხზულებათა საჯარო წაკითხვისაგან, კონცერტებისა, წარმოდგენისა და სხვა ამ გვართ კანონიერთა მოქმედებათაგან.

§ 3.

საზოგადოება შესდგების: მოღვაწე და საპატიო წევრთაგან ორისავე სქესისა; რიცხვი წევრთა განუსაზღვრელია.

§ 4

მოღვაწე წევრი ეწოდების მას, ვინც ყოველ-წლივ შემოიტანს საზოგადოების კასსაში ერთ მანეთზედ არა ნაკლებს.

§ 5

საპატიო წევრის სახელი მიენიჭებათ, საზოგადოების კრების განჩინებით, § 7), იმათ, ვინც საზოგადოებას აღმოუჩენს შემწეობას, (§ 1): ანუ ფულის შემოწირვით არა ნაკლებ ორმოც-და-ათის თუმნისა, ანუ ფრიად შესანიშნავის სასარგებლო მოღვაწეობითა.

§ 6

საზოგადოების საქმეს მმართვენ: საზოგადო კრება, შედგენილი როგორც მოღვაწე, აგრეთვე საპატიო წევრთაგან და განმგებელი კომიტეტი.

§ 7

საზოგადო კრება ორგვარია: მორიგი და განგებ—მოწვეული. მორიგი კრება შესდგება ყოველ-წლივ 10-ს მაისს, რათა: 1) განიხილოს, რა უმოქმედნია საზოგადოებას წინა წლის განმავლობაში, (ჰუნ. ე. § 14-სა), 2) მოიპოვოს სამერმისოთაც ღონის-ძიება საზოგადოების განზრახვის უფრო უკეთ შესრულებისათვის, 3) დაადგინოს განჩინება მაზედ, რაც საჭიროდ იქნება ჩასამატებლად თუ შესაცვლელად ამა წესდებისა და სხვათა საქმეთა ზედა, რომელნიც მოხსენებულ არიან ამა წესდებისა და სხვათა საქმეთა ზედა, რომელნიც მოხსენებულ არიან

შამფურზე ცეცხლთან და უნდა გაგიტყდეთ, რომ იმისთანათ საჭმელი არასოდეს მსიამოვნებია. მაშინ მივხვდი, რომ მე ვიყავ ნამდვილი, სუფთა სისხლის მაწანწალა.

საჭმლის გათავების შემდეგ, ჩემმა ამხანაგმა ამოიღო თავის ტანისამოსის საიდუმლო ჯიბიდამ ერთი ჩიბუხი, რომელიც აამსო თამბაქოთი და მოუკიდა ცეცხლი.

მეც დაუძახე მოსამსახურე ქალს და მივეცი იმას სამი პენსი, რომ ეყიდნა ჩემთვის ერთი ჩიბუხი და თამბაქო.

ცოტა ხნის შემდეგ, გარშემორტყმული კომლითა, მე გავემგზავრე ოცნებების ქვეყანაში;—და რისთვის არ გავემგზავრებოდი? მართალია, იმისთანა გაცვეთილი პალტო მეცვა, რომელიც გირაოთი გამსესხებელის სახლის უკანასკნელი ნივთი იყო; გარშემორტყმული ვიყავ ქურდებისგან, ჯიბის მოჭრელებისგან, რომლებიც ლონდონის საშიშარ და გარყვნილ უბნების ხალხს ეკუთვნოდნენ; მაგრამ ეს ხალხი მე მეჩვენებოდნენ ჩემთვის კეთილის-მყოფელათ.

ნახევარ საათის განმავლობაში ყველაზე საუცხოო ოცნებები წარმოვიდგინე აზრში.

მე რომ გარშემორტყმულ ვყოფილვიყავ უმაღლესი საზოგადოების ყოველნაირ განცხრომით; ის უბრალო ხის სტოლი, რომელზედაც დაყუდებული ვიყავ, შავი, ძვირფასი ხის რომ ყოფილიყო; ის მაგარი საჯდომი, რომელზედაც მე ვიჯექი, ხავერდით მორთული კრესლო რომ ყოფილიყო; ჩემი თეფშები რომ ჩინეთის ძვირფასი თეფშები ყოფილიყვნენ და რკინის დანები ვერცხლისა,—მაშინაც არ ვიქნებოდი უფრო ბედნიერი და უფრო კმაყოფილი!

ჩემი ამხანაგი რამდენიმეჯერ გაიხმეს და რაღაცაებზე დაეკითხნენ. ადვილათ მიხვდებოდა კაცი, რომ ის უბრალო მაწანწალა არ იყო.

ბოლოს იმან გადაჰყარა თავის ჩიბუხის ნაცარი და მითხრა:

— წამოდი, ამხანაგო!

ჩვენ გავემგზავრეთ. როგორც პირველში, ჩვენ დავიდექით ვიწრო, ბნელ ქუჩებს, საცა თითქმის არავინ არ იყო; მხოლოთ ჩვენ მივდიოდით უფრო მდიდარ და სუფთა უბანში; მე ვკითხულობდი ქუჩების სახელს და შევიტყე, რომ ჩვენ გავიარეთ „Cité“, ვნახეთ წმ. პეტრე-პავლეს სობორო, რომელსაც ერთწამს გაკვირვებით შევაჩერდი.

— რა არის? რას უცქერიბ, მეგობარო? მკითხა ჩემმა ამხანაგმა. ჩვენ გავიარეთ ლონდონის ხიდი, მივედით ერთ ბნელ ქუჩაზე და შევედით ერთ სახლში; შევედით ერთ იმნაირვე ზალაში, რანაირშიც პირველში ვიყავით, მხოლოთ აქ დაზგა არ იყო. ეს იყო იაფ-ფასიანი სამზარეულო სასტუმრო და თან ჩვენ-გვარი ხალხის სალაყბო.

მე მივეცი მასპინძელ ქალს ექვსი პენსი; ამ ფულით მე მომეცა ერთი ლოგინი ორი ღამისთვის და უფლება, რომ მეხმარა საზოგადო ზალა და ცეცხლი ჩემი საჭმლის გასაკეთებლათ, რადგანაც ამისთანა სასტუმროებში ყველა თავის საჭმელს თვითონ იკეთებს.

ჩემი ამხანაგი მივიდა ერთ შკაფთან, გამოიღო იქიდგან კოლოფი, რომელშიაც იყო ერთი ჩაის გასაკეთებელი, ორი ფინჯანი, ჩაი და შაქარი.

იქან დაასხა ჩაი და მე გამგზავნა ხორცის, ერბოს და პურის სასყიდლათ. ჩვენ გავაკეთეთ საჭმელი და ჩინებულათ ვივახშმეთ. ჩვენს გარდა ზალაში იყვნენ თითქმის ოცნი პირნი ორთავე სქესისგან მაწანწალები და ქურდები.

მუსაიფი, ანუ უკეთ ვთქვათ, ლანძღვა და ყბედობა ამ კაცებისა (რადგანაც ეს ხალხი არასოდეს არ მუსაიფობს) იყო ძალზედ გამაუპატიურებელი.

სალამოს დროს ჩვენ გავხდით ორმოცდა-ათი, თუ კაცნი, თუ ქალნი, თუ ყმაწვილები.

საშინელი გინება, ყვირილი, ლანძღვა; სამზარეულოს და ჩიბუხების კომლი სწორეთ ჯოჯოხეთს ამსგავსებდნენ ამ ზალას.

პ. მჭ—შვილი

ამა წელიწადში. განგებ მოწვეული კრება კი მოწვეული იქნება განგებ მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს. დრო ამა კრებისა საჭიროდ გამოცხადებულ იქნება ერთის თვის წინად და აქვე დასახელებულ იქნებიან ამა კრების განსახილავი საგანნი.

შენიშვნა. 1) საზოგადო კრება ჯეროვნად შემდგენილ იქნება მაშინ, როცა დაესწრობიან წევრნი არა ნაკლებ 25-სა კაცისა. უკეთუ დანიშნულს დღეს ამაზედ ნაკლები წევრნი შეიკრიბებიან, მოიწოდების მეორე კრება, რომელიც დანიშნულ უნდა იყოს არა უწინარეს ორის კვირისა, პირველის კრების დღიდგან. ამ გვარად მოწვეული მეორე კრება ჯეროვნად მიღებულ იქნება, თუნდ მოსულნი წევრნი რიცხვით 25-ზედ ნაკლებნიც იყვნენ, გარნა ამგვარს კრების განჩინებას ექვემდებარებიან მხოლოდ იგი საქმენი, რომელნიც დანიშნულ იყვნენ განსახილავად პირველის კრებისა.

შენიშვნა. 2) წესი საქმეთა განხილვისა საზოგადო კრებაში და ყოველივე რიგი, ამის შესახებ დაიდგინების თვით საზოგადო კრებისაგან.

შენიშვნა. 3) საზოგადოების წლის ანგარიში მას შემდეგ, რაკი დამტკიცდება საზოგადოებისა მიერ, დაიბეჭდების ერთს რომელსამე აქაურს გაზეთში.

# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით მომავალს 2 ივნისს იქნება მხოლოდ ერთხელ **ვაჭრობა ქალაქის განათების იჯარით მიცემაზედ** სამის წლის ვადით. მსურველთ შეუძლიანთ პირობები (კონდიციები) ნახონ უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—2)

---

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვეითა დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

(5—4)

---

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი ქევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ალიღვილს. (კუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

(5—4)

---

გამოვიდა და ისყიდება
„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“
კომედია ალ. თუთაევისა

**ისყიდება:** ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯამბეროვთან, თელავს—ივ. ებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქართაშვილთან, ხაშურისა და ბიჟათუბნის უბანში, სურამს—ზაქარია არუხოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, სიღნაღში—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მცხეთის ხევში—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზუბალოვთან და თვითონ ავტორთან.

---

## ტყავის ქარხანა თფილისში

დიდუბის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეძებენ, რომ ამ **ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.**

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხნის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხნის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—24)

---

## ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

| რა გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | [illegible] | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 7[illegible] | | 42 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | [illegible] | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ოთშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ოთშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კ. |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დ[illegible] [illegible] | 8 |

### მაზანდა

| თფილისი, 26 მაისს. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ფქვ. თ. თ. განჯისა, ფთ. | 1 | 50 |
| ფქვილი წითელი | 1 | 35 |
| ქერი ფუთი | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 99 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, გოლც. ფუთი | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | — |
| ჩაი გოგოლი, გირვ. | 7 | — |
| ბრინჯი ქონჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

### თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვარიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** ქიუჩარიანცი—ხირურგი, გრალევსკი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ოპრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.